სახალხო გაზეთი

№ 381 შაბათი, 20 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 381

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში. ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში

„ორაპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“ აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 25 აგვისტოს, 1911 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების მიერ ვ. აბაშიძის, გუნიას, კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

საძაგელი

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთ. დ. ერისთავის მიერ.

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ.

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი პიერეტა, გოგოლაშვილისა, ნებიერიძე, და სხ. ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, ჩუბინოვი, ქორიძე, მგალობლიშვილი, საფაროვი, გოგინოვი და მელვინგთუხუცესი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.—ადგილების ფასი 5 კ.—50 კ.-მდე. ბილეთები უკვე იყიდება კასაში. რეჟის. ვ. აბაშიძე.

(4—1457—2) გამგე ა. ბადაშვილი.

ტელეფ. 785. ახალი კლუბი ტელეფ. 785.

შაბათს, 20 აგვისტოს, 1911 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება ქართულად:

საძაგელი

ვოდ. 2 მოქ., დ. ერისთავისა.

წარმოდგენის შემდეგ ლოტო. დასაწყ. საღ. 9 ს.

ბაღშია სიმებიანი მუსიკა და საზანდარი ცნობილ მეთარე არსენას მეთაურობით. თეატრში შესასვლელი ფასი 10 კ.—50 კ. სტუმრ. გადაიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. ანონსი: სამშაბათს, 23 აგვისტოს, ჩვეულებრივი საოჯახო საღამო ი. ბ. სარაჯიშვილის მონაწილეობით. (1—1432—1)

ახალი კლუბი

კვირას, 21 აგვისტოს, 1911 წ. საზაფხულო თეატრის სცენაზე გაიმართება

კაბარე

დასაწყისი ღამის 12 ს.

გადასახადი ადგილებისა 50 კ. თითოზე. ჩაწერა ადგილების დასაჭერად შეიძლება კლუბის კანტორაში 20 აგვისტოდან 12 ს.

ლოტო დაიწყება $9^1/_2$ ს. საღამოთი.

სტუმრები გადაიხდიან: კაცები 50 კ., ქალები და სტუდ. 25 კ. (2.1432.1)

ტფილისის მომხმარებელ საზოგადოების

„მომავალი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს მკითხველ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ვისაც საზოგადოების წევრად ჩაწერა ჰსურს, უნდა მიმართოს ქვემო-დასახელებულ პირთ: 1) რკინის გზის მთავარ სახელოსნოში კოსტა ძუძაშვილს და ახობაძეს, 2) რკინის გზის დეპოში დ. ჯიქიძეს, 3) ტფილისის საქონლის სადგურზე ვარლამ დოლიძეს, 4) ტრამვაის დეპოში თევზაძეს, 5) ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანაში პეტრე მემარნიშვილს, 6) ქალაქის შრომის ბირჟაში გ. ხრამელაშვილს, 7) მიხეილის ქუჩაზე ჭურჭლეულობის მაღაზიაში კ. გარაყანიძეს, 8) ნადიროვკაში სამავთლინი ქუჩაზე მეჩექმე ლ. ლ. ხარაძეს, 9) სომხის ბაზარში, „ობოროტის“ მაღაზიაში, ვ. კუციავას, 10) გოლოვინის პროსპექტზე, „სეზონის“ მაღაზიაში, გ. შუკაშვილს და 11) იმავე პროსპექტზე ბუფეტ „ეკონომიაში“ ს. ი. კახეთელიძეს.

ჩაწერა შეიძლება აგრეთვე ხსენებულ საზოგადოების გამგეობის წევრებთან და საზოგადოების საკუთარ კანტორაში, ელისაბედის ქუჩაზე № 176, ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე და 5—7-დე, მხოლოდ უქმე დღეებში 10—12 ს.-დე. ამავე კანტორაში მსურველს შეუძლიან მიიღოს ყოველ დღე ცნობა საზოგადოების შესახებ.

(4—773—3) საზოგადოების გამგეობა.

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს ენკენისთვის ნომერი

ჟურნალ

„განათლებისა“

შემდეგის შინაარსით: 1. ბავშვის ზნეობრივი გრძნობა ლ. ბოცვაძისა. 2. სოციოლოგია V ს. ავალიანისა. 3. სინათლის სამკურნალო თვისება, კახაბერისა. 4. დ. ზ. სარაჯიშვილი, ლ. ბოცვაძისა. 5. დ. ზ. სარაჯიშვილის ბიოგრაფია. 6. დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძის ნაწილი. 7. დ. ზ. სარაჯიშვილის საფლავთან, ფ. გოგიჩაიშვილისა. 8. დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას ალ. ხახანაშვილისა. 9. დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას არტ. ახნაზაროვისა. 10. სიტყვა აკაკისა. 11. ეპისკოპოზ ლეონიდის სიტყვა. 12. კარლო ჩხეიძის სიტყვა. 13. დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას (ლექსი) ლ. [illegible]. 14. სიტყვა დეკ. კალ. ცინცაძისა. 15. არწივის დარდი (ლექსი) ვაჟა-ფშაველასი. 16. ნაკადული (მოთხრობა) კ. გვარამაძისა. 17. პირველი ენკენისთვე (ლექსი) მ. ტაბიძისა. 18. გოდება, დ. თურდოსპირელისა. 19. ტარას შევჩენკო, ს. ამულაძისა. 20. ყველაზე უძვირფასესი (ლეგენდა). 21. მკრთალი ჰანგი (ლექსი) ი. გრიშაშვილისა. 22. ქართველი კაცი და სისუფთავე, გ. წყალტუბელისა. 23. ბავშვის ფიზიკური აღზრდა, ილ. ფერაძისა. 24. შინაური მიმოხილვა—განისა. 25. მცირე შენიშვნა დ. ჩ—სა. 26. უცხოეთი. 27. ბიბლიოგრაფია. 28. განცხადებანი.

ჟურნალის ფასი წლიურად სამი მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 2 მან. მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს და აგენტებს, ვისაც ჟურნალის ფული არ გამოუგზავნია, დააჩქაროს გამოგზავნა.

(2—1) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ამომრჩეველთა სიები

ქ. ტფილისის მომავალ არჩევნებისათვის, დღეს, 20 აგვისტოს, ქალაქის გამგეობაში გამოცხადებულია და გადასათვალიერებლად გამოკრულია სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ყველა კანტორებსა და ყველა საპოლიციო ნაწილის ბინაზე.

ამომრჩეველთ სიებს ურიგებენ ქალაქის საბჭოს კანცელარიაში.

თუ ვინმე გამოტოვებულია, ან შეცდომითაა მოხსენებული, ქალაქის გამგეობაში უნდა განაცხადოს ეს, ამ განცხადების დაბეჭდვიდან ორი კვირის განმავლობაში. (1—1458—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგს, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—120)

10 ენკენისთვემდე მიიღება ხელის მოწერა

არჩილ ჯორჯაძის

მე-3 წიგნზე

„ნააზრევი“

ხელის მოწერით ღირს 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გასაგზავნ ხარჯად 10 კ.

შინაარსი: წინასიტყვაობა. ხელოვნება: 1. ურწმუნო მწერლებს, 2. სიტყვაკაზმული მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექციის გამო), 4. ნავთსაყუდლის ძებნაში, 5. ქართულ მუზიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. რელიგია ფილოსოფია: 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი). 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია, მეგობრები), 3. ქალის ხვედრა, 4. წერილები იტრიის წისქვილიდან („იმა ქვეყნათა [illegible]“) ეს უკანასკნელი, ახალი წერილია.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათუმში: ირ. ავალიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. სურაგასთან; გორში: სოლ. კიკნაძესთან; თელავში: ი. პაატაშვილთან. (0—1)

გორის 6-კლასიანი სავაჟო პროგიმნაზია

ამით აცხადებს, რომ ეგზამენები 25 აგვისტოდან დაიწყობა. თავისუფალი ვაკანსიები, მეექვსე კლასიანად, ყველა კლასებშია. (5—761—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. ამბულატორიულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

წამლობა „606“-ით

Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული, ოპერაც., კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—640)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.

(წლ.—1090—138)

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი.

იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე.

კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—13)

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (ა—118)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ა. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

კალმიკოვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლობდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-თერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვ-ზოტოვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-თერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—83)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—87)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი

დაბრუნდა უცხოეთიდან. შინაგანი და ბავშვთა ავადმყ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. 36, ტელეფონი 388. 25—1442—7

მცხეთის მონასტრის სკოლის

გამგე წინამძღვარი ნინო,

აცხადებს, რომ მისდამი რწმუნებულ სასწავლებელში თავისუფალი ადგილი აღარ არის. (3—1460—1)

ადგილობრივი პრესა

ბ-ნი ყარიბი განაგრძობს თავის წერილებს, ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ თუ დღეს ქართველი მუშა „ტარელკისა“, ან ბუთილკა“-ს ხმარობს თეფშისა და ბოთლის ნაცვლად, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამნაირი ენის შერყვნა გარდამავალი მოვლენაა. არ აწუხებს ასეთი დამახინჯება ენისა ბ-ნ ყარიბს იმიტომ, რომ ენის მატარებელი ხალხი საბოლოოდ მაინც შექმნის დიდს ლიტერატურასა და ხელოვნებას. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ „მესამე დასელების“ დროს ყოფილა გამომცემელი ამხანაგობა „ახალი მკითხველი“, რომელსაც სულ წელიწად ნახევარი უცოცხლია, ხუთიოდე წიგნი გამოუცია, მაგრამ მაინც გასაოცარი კვალი დაუტოვია.

„ახალი მკითხველის“ დამტკიცებული „უსტავი“,—სწერს ბ-ნი ყარიბი, დღესაც ჩემ ხელთ არის. ვინახავ ისე, როგორც საუკეთესო მოგონებას მესამე დასის პირველი ნაბიჯისას, როგორც ისტორიულ დოკუმენტს ჩვენი ხალხის გამოფხიზლებისას თვით განვითარებისა და თავისთავის შემეცნების გზაზე დადგომისას“.

ამ გამომცემელ ამხანაგობის დაარსების ისტორია, თუ ბ ნ ყარიბს დავუჯერებთ, ფრიად უცნაური ყოფილა, მაგრამ თვით ყარიბს დავუგდოთ ყური.

„ჩვენმა მკითხველმა იცის თუ რა, იყო და ვინ იყო „მესამე დასი“. აი, ამ მესამე დასის ხელმძღვანელები თავის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე დარწმუნდნენ, რომ ქართული ლიტერატურა ღატაკია და ამ ლიტერატურის მეოხებით სწავლასა და ცოდნას მოწყურებულ ადამიანისათვის თვითგანვითარება ყოვლად შეუძლებელია. როგორ უნდა მოეგვარებიათ საქმე მესამე დასის ხელმძღვანელთ, რომ თავისი მოღვაწეობა უფრო სასარგებლო ეხადათ და ხალხში რაც შეიძლება მეტი განათლება მოეფინათ? ქართულ ენაზე, სამეცნიერო წიგნების შექმნა ადვილი არ იყო; ეს დიდ დროსა და ნივთიერ ძალას მოითხოვდა, რაც მესამე დასის პიონერებს, ან ჩვენი მაშინდელი მოწინააღმდეგეთა ტერმინით რომ ვთქვათ, „გამოყრილ სემინარიელებს, არ მოეპოვებოდათ. ამიტომაც ზოგმა მათგანმა თავის მუშათა წრეებში პოლიტიკურ ეკონომიისა და სხვა საზოგადო მეცნიერებასთან ერთად სხვათა შორის რუსული ენის სწავლებაც შემოიღეს. თვით ამ წერილის ავტორი პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად კირპიჩნიკოვისა და გილიაროვის გრამატიკას ასწავლიდა, რომ რაც შეიძლება მალე შეეტანა თავის წრეში რუსულის ცოდნა, რომ ქართველ მუშას ქართულის შექმნამდე რუსული ლიტერატურით მაინც ესარგებლა თავის განსავითარებლად. ესე იქცეოდნენ ბევრი სხვებიც, მაგრამ მესამე დასის ხელმძღვანელნი თავის მოქმედების პირველ საფეხურზედვე დარწმუნდნენ, რომ ქართველ გლეხისა და მუშისათვის ჯერ რუსულის შესწავლა და მერე სამეცნიერო წიგნების კითხვა, შეუძლებელი იყო. ცხოვრების სინამდვილემ ადრე დაანახვა მესამე დასის ხელმძღვანელთ, რომ ამ გზით მათ მხოლოდ რამდენიმე კერძო პირის მომზადება შეეძლოთ და არა მთელი ხალხის'ა და მათაც სხვა გზა აირჩიეს. ეს გზა იყო ქართულს ენაზე პოპულიარული სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად მესამე დასელებმა დაარსეს ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“.

ასე დააკვრევინა სინამდვილემ ცხვირი იმ მაგიდაზე, რომელზედაც ბ-ნი ყარიბი მუშებს კირპიჩნიკოვის სახელმძღვანელოთი რუსულ გრამატიკას ასწავლიდა, ასე ნათლად გამოირკვა, რომ „მესამე დასელები“ სცდებოდნენ, როდესაც რუსულ კულტურას აღმერთებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დოინჯ შემოყრილი გაიძახის:

„რას გვასწავლისი ეს „ახალი მკითხველის“ ისტორია? ჩვენ ამაში ვხედავთ ორს საყურადღებო რამეს, რასაც კარგად უნდა ჩაუკვირდეს, როგორც მკითხველი, ისე ჩვენი საზოგადოებრივობის მკვლევარი.

პირველად ის, რომ მესამე დასის ხელმძღვანელთ კარგად ჰქონდათ შეგნებული თავისი მოქმედების პროგრამა. მათ კარგად ჰქონიათ შესწავლილი ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა ემუშავნათ. იმათ თავისი მოძღვრება გერმანიიდან და სხვა უცხო—ქვეყნიდან კი არ გადმოუთრევიათ და ხალხისთვის კი არ უბრძანებიათ: გინდა თუ არა უნდა იწამოვო, როგორც ეს ჩვენს მოწინააღმდეგეებს გონიათ; არა, მესამე დასის ხელმძღვანელთ თვით ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოუნახავთ გზა-ნიადაგი ამ მოძღვრებისათვის, შეუმუშავებიათ და გაუპოხიერებიათ ეს ნიადაგი და მერე შედგომიან მოქმედებას“.

ძალიან კარგად ჰქონიათ გათვალისწინებული ის „ნიადაგი“, რომელზედაც მუშაობდნენ, თუ კი ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაც კი არა სცოდნიათ, რომ ერის კულტურული ზრდა ადვილად მოხერხდება კირპიჩნიკოვის დაუხმარებლადაც. ბ-ნ ყარიბის მიერ მოთხრობილი „ისტორია“ „მესამე დასელებისა“ და მის შემდეგის „ისტორიაც“ ნათლადა ჰმოწმობს, რამდენად ჭეშმარიტია მეორე აზრიც—ვითომც „მესამე დასელებს“ გერმანულიდან არ გადმოუღიათ დოგმები და თეორიები. გულში ხელით ცემა და ლალადით, ეს ჭორებიაო, ვერ უარჰყოფენ ფაქტს, რომლის შესახებ „ქვანიც კი ჰღაღადებენ...“

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ჩრდილოეთ რუსეთს, ქალ. ვიატკაში გამოდის მეფუტკრეობის ჟურნალი „Пчеловодная жизнь“. ამ წლის მეათე ნომერში „მეფუტკრეთა საყურადღებოდ“ ვინმე ვედენსკის წერილია დასტამბული.

ბ-ნ ვედენსკი, ეს ახალი მოდის მეფუტკრეთა კოლუმბი, ბევრ ადგილას ყოფილა, არ დაუტოვებია არც უსურიის მხარე, არც თერგისა და არც ყუბანის ოლქები, მაგრამ საფუტკრე ადგილი არსად ისე არ მოსწონებია, როგორც კავკასიაში. მოსწონებია და საფუტკრე ადგილის ხელში მუქთად ჩაგდებაც განუძრახავს: მოიწოდებს თავის მემამულეებს და დალოცვასაც თვითონვე კისრულობს. სიტყვა-სიტყვით მოგვყავს მისი სიტყვები:

„ეს საფუტკრე მამული ქუთაისის გუბერნიაში მდებარეობს, ლეჩხუმის მაზრაში, ეკუთვნის თავ. გ—ძეს. მამული შეიცავს 12,512 დესეტინას. 5000 დესეტინა გაუვალი ტყეა ჭანდრისა (?) თელისა და ფიჭვის, რომელთა სიმაღლე 20 არშინს აღემატება. 5000 დესეტინა საძოვარი ადგილია, დანარჩენი—კლდეები. ბალახი აქ წელამდე და უმაღლესიც იზრდება. ამ მამულზე არავინ არა ცხოვრობს, მხოლოდ ზაფხულობით ჩრდილოეთ კავკასიიდან საიალაღოდ საქონელს მოჰრეკენ ხოლმე. მამული ქუთაისიდან 60 ვერსის მანძილზეა, კისლოვოდსკიდან კი 100 (კავკასიის უღელტეხილით). მამულში ორი მდინარე ჩამოდის: ლაური და ცხენის წყალი. წყალში აუარებელი კალმახია. საუცხოვო სანადირო ადგილებია, არის ჯიხვი, არჩვი, გარეული ღორი ხომ ფარობით დადის, ბევრია დათვიც. მე თვითონ დღეში 2—5 ვხვდებოდი. ნადირი დამფრთხალი არ არის, ადამიანს არ გაურბის. ბევრს ნახავთ კვერნას, კატუნიას და სხვას. აი სად შეიძლება გული გაიძღოთ ახალის ბაზიერების ნადირობით.

გარდა ამისა, მამული მდიდარია მადნეულობითაც. მგვი არ არის ვერცხლის მადანიც არის. როგორც პასტაგორის მღვდელმა მითხრა, ამ მამულში რადიც უნდა იყოს, რომელიც შარშან ერთ ინგლისელს აღმოუჩენია.

უკეთესი ჰავა წარმოუდგენელია. ბუნება წყნარია, ამინდის მოულოდნელი ცვალებადობა არ იცის. ზამთრის ყინვა 5 გრადუსს არ აღემატება. ერთი სიტყვით ეს კუთხე, დაუფასებელია—ყოველივე სიმდიდრით შემკული. აქ რამოდენიმე თვე გავატარე და დავრწმუნდი, რომ მეფუტკრეობისა და საქონლის საიალაღოდ ბადალი არსად იპოვება. ამისათვის მივმართავ ბ.ბ. მეფუტკრეებს და მოვუწოდებ: შევადგინოთ ამხანაგობა და ეს მამული საუკუნო საკუთრებად შევიძინოთ. როგორც მითხრა ამ მამულის მემკვიდრე თავადმა, დესეტინას იძლევა 35 მან. ბედ ეხლა უნდა მივცეთ თითეულ დესეტინისა ხუთ-ხუთი მანეთი, დანარჩენი კი შეიძლება ბანკისა გადავიწეროთ.

წელს, მაისში, ფლოდოროვსკისა და მალკარსკის მცხოვრებლებმა ამ ადგილის დასათვალიერებლად კაცები გაგზავნეს („ხოდოკი"). საჭიროა, რომ მათ დავასწროთ და ამავითვე ბეს მიცემით საქმე გავათავოთ.

ამ მამულის მახლობლად მუშაობს იტალიელების კომპ., რომელიც ტივებს ფოთისაკენ ჰგზავნის ცხენის წყლით. ამისათვის ტყეს ჩვენ თუ არ დავამუშავებთ, შეგვიძლიან მოსაჭრელად გავყიდოთ და რაც მამულის შეძენაში დაგვეხარჯება, ამით ავინაზღაურებთ".

დაწვრილებით ცნობებს ბ. ვედენსკი აძლევს მხოლოდ იმას, ვინც 7 კაპ. მარკას აახლებს.

ამ წერილს განმარტება აღარ ესაჭიროება. „ვისაცა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ".

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ე. ი. ვატაცი** დღეს დილით კავკასიის სამხედრო გზით კავკავს გაემგზავრა ავტომობილით, საიდანაც საგანგებო მატარებლით პეტერბურგს წავა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის მოადგილე **გენ. ნ. პ. შატილოვი** დღეს, 2 საათზე ავტომობილით კოჯორს მიემგზავრება.

◆ **ტფ. გუბერნატორის კანცელარიამ** შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტისაგან მოწერილობა მიიღო, რომ სამინისტრომ გზათა უწყების ინჟენრებს, რომელთაც ალექსანდრეს სახელობის ინსტიტუტი დაუსრულებიათ, ნება დართო თავიანთ შორის ხელის მოწერა გამართონ, ნადირექტორალ ლ. ფ. ნიკოლაის ძეგლის ასაგებად.

◆ ფოთის ქალაქის მოურავი **ბ. ნიკოლაძე** გუშინ ფოთს გაემგზავრა.

◆ **საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი** გუშინ, საღამოს 10 ნახ. საათზე, საგანგებო „სალონ ვაგონით" ტფილისს დაბრუნდა.

◆ **ქალაქის გამგეობამ**, სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის დადგენილების თანახმად, გუშინ ბელგიის უსახელო საზოგადოების ტფილისის ტრამვაის დირექტორს წინადადება მისცა, მკაცრი განკარგულება მოახდინეთ, რათა ტრამვაის ლიანდაგებს ყოველ-დღე კარგად ასუფთავებდნენ და რწყავდნენო.

◆ გუშინ წინ, შუადღის სამ საათზე, **რომან დიმიტრის ძე ბებიაშვილი დააპატიმრეს.**

◆ **მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა** ექიმმა ქალაქის გამგეობაში განაცხადა, ქალაქის საელექტრონო სადგური, რომელიც ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გვერდზეა, ძლიერ ცუდ სუნს აყენებს, კვარტლსა და ბოლს ავრცელებს შენობასთან და ძლიერ ხმაურობაც ისმისო. ქალაქის გამგეობამ უფროსს ექიმს უპასუხა, ქალაქის სადგურის დათვალიერებამ გამოარკვია, რომ ამაში ქალაქის სადგური კი არ არის დამნაშავე, არამედ უსახელო საზოგადოების დირექციის მთავარი სადგური, სადაც ახალი მანქანა დასდგეს, რომელიც უვარგისი გამოდგაო.

◆ **ტფილისის პოლიცმეისტერმა** მაძებარ პოლიციის უფროსსა და ბოქაულებს განკარგულება დაუგზავნა, ენერგიული ზომები მიიღონ 14 წლის აბრამ სკლიაროვის მოსაძებნელად, რომელიც 15 აგვისტოს გამოსულა სახლიდან და უკვალოდ დაკარგულა.

◆ **ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭოს** განუზრახავს დეპუტატთა საკრებულოში წინადადება შეიტანოს ქართულ თეატრის ზამთრის შენობა იჯარით მას გადასცეს, იმ პირობით, რომ კვირაში ორი დღე ქართულ წარმოდგენების გასამართავად დრამატიულ საზოგადოებას დაეთმოს.

◆ **კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მთავარ-დიაკვნისა და მნათის არჩევნები**, რომელიც კვირას, 14 აგვისტოს, ამომრჩეველთა მცირე რიცხვის დასწრების გამო, არ შესდგა, **დანიშნულია** ხვალისათვის, 21 აგვისტოს. არჩევნები უეჭველად მოხდება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს.

◆ **მიუხედავად ტფ. პოლიცმეისტერის განკარგულებისა**, ზოგიერთი მეპურეები ურჩობას მაინც განაგრძობენ და დაბალი ხარისხის პურს არ აცხობენ. ამის გამო პირველ ნაწილის ბოქაულის თანაშემწემ ხუდავერდოვმა სოლოლაკზე გუშინ შვიდი ოქმი შეადგინა და დამნაშავენი სამართალში მისცა.

◆ **ქალაქის გამგეობამ** მე-VI უბნის ბოქაულს მისწერა, საჩქაროდ ზომები მიიღოს, რომ მცხოვრებლები დაბახანის ხევში საცვლებს არ რეცხავდნენ, რადგანაც წყლის მდინარეობა ისე ღონიერი არ არის, რომ სიბინძურე გარეცხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა იძულებული იქნება დაბახანის ხევში შესასვლელი გზები გადაღობოს.

◆ **ბოტანიკურ ბაღის გამგის თანაშემწე** დ. ი. სოსნოვსკი ყარსისა და ოლთის ოლქებში მოგზაურობიდან, გუშინ დილას დაბრუნდა.

◆ **კავკასიაში მიწად-მოქმედ და მიწად-მომწყობ** მთავარ გამგეობის უფროსი აგრონომი ა. დემენტიევი ბაქოს გუბერნიის კუნძულ სარადან, სადაც იგი სამეურნეო გამოკვლევას ახდენდა, გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

◆ 6 აგვისტოდან 14 აგვისტომდე ქალაქის პოლიციამ 684 სახლი და 313 სავაჭრო დაწესებულება **დაათვალიერა**. აქედან სანიტარული წესების დარღვევა აღმოაჩინა და **სამართალში მისცა**: 24 სახლისა და 8 სავაჭრო სამრეწველო დაწესებულების პატრონი.

◆ **ტფილისის ბოტანიკურ ბაღის** გამგეობას განუზრახავს ბაღში რაც შეიძლება მეტი ნაძვი და კუნელი მოაშენოს, ამ მიზნით გამგემ ოლთის ტყის მცველს 10 გირვანქა ნაძვისა და 5 გირვანქა კუნელის თესლი შეუკვეთა.

წვრილი ამბავი

◆ ვორონცოვის ქუჩაზე მდებარე მეზურე მალაქია დებანაძის დუქნიდან მოუპარავთ: 150 მანეთი ფულად, და ერთი 50 მანეთიანი ოქროს ბეჭედი, ეჭვი აკოფა აკოფოვზე მიიტანეს და დააპატიმრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე, ლ. ბოცვაძის მოხსენება საგურამოს **ილიასეულ მამულის** შესახებ ვექილ ა. ყიფშიძის დაბრუნებამდე გადაიდო.

◆ **ხოფ. შაშიანის** (კახეთის) თხოვნა, სკოლის გახსნის თაობაზე, სასკოლო სექციას გადაეცა. მცხოვრებნი იძლევიან შენობას სკოლისა და მასწავლებლისათვის, შეშას და მოსამსახურეს. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მომავალ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენამდე გადაიდო.

◆ **სოფ. ლორეში** სამკითხველოს უფასოდ გაეგზავნა წიგნები. გერგეთის სკოლის მასწავლებლის თხოვნის მიხედვით, სკოლას, მოწაფეების საჩუქრად გაეგზავნა წიგნები და სასკოლო ნივთები.

◆ **ხუროთ-მოძღვარ კლდიაშვილის** მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა სამუზეუმო ოთახების შესაკეთებლად (218 მან. 83 კ.) გამგეობამ დაამტკიცა.

სასწავლებლებში

◆ **სასტატო ინსტიტუტში** ეგზამენები ამ თვის თვრამეტს დაიწყო. ჩვიდმეტს შეამოწმეს მთხოვნელთა ჯანმთელობა და სმენა (ასე იყო ნათქვამი პროგრამაში: проверка слуха), მაგრამ სმენის შემოწმების ნაცვლად ყმაწვილებს ეგზამენი დააჭერინეს გალობაში—ჰკითხეს ნოტები, სხვა და სხვა სიმღერები, რასაც შედეგად ის მოჰყვა, 50 კაცი ეგზამენზე აღარ მიუშვეს. ასეთმა მოულოდნელმა უბედურებამ ბევრს თავზარი დასცა და აღარ იციან რა ჰქნან. მხოლოდ ამას გაიძახოდნენ—თუ ასე იყო, რატომ პროგრამაში არ გამოაცხადესო.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად შემდეგი სოფლების თხოვნა წარუდგინა: 1) სოფ. **ვორონცოვკისა** (ბორჩალოს მაზრა)—რომ გახსნან სავაჟო მესამე დაწყებითი სასწავლებელი, 2) სოფ. თოხლიაურისა (სიღნაღის მაზრა) გახსნან ერთკლასიანი სასწავლებელი, 3) სოფ. ხაშმისა (ტფილისის მაზრა)—არსებული ერთკლასიანი სასწავლებელი ორკლასიანად გადაკეთდეს, 4) სოფ. ნორიოსი (ტფილისის მაზრა) რომ ორკლასიან სასწავლებელში მასწავლებელი დანიშნონ, 5) სოფლებ: ყვარელი (თელავის მაზრა), წინაუბანისა (დუშეთის მაზრა), და ხალაწანი (თიანეთის მაზრა),—რომ ერთკლასიანი სასწავლებელი გახსნან.

სასამართლო

◆ 5 სექტემბერს, ოლქო სასამართლოს მეორე განყოფილებაში გაირჩევა ქ. აბრამოვისა და სხვათა საქმე, რომელთაც სოორსულო კასის ფულის გაფლანგვას აბრალებენ.

[illegible]

◆ **სად. ყვირილა.** 19 აგვისტოს, დილის 9 საათზედ და 20 წუთზე, ბარგის დარაჯი სოფ. აჯარის (შორაპნის მაზრა) მცხოვრები გლეხი ნიკო ებანოიძე ლიანდაგზე გადადიოდა; ფეხი დაუსხლტა და წაიქცა. ამ დროს უეცრად ორთქლმავალმა № 174 გამოიარა და მძიმედ დააშავა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

სომეხთა ცხოვრება

◆ **ნერსესიან სემინარიის** ძველ შენობიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე ვერ გადიტანენ.

ქუთაისი

◆ **ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი** ტფილისს წავიდა ქალაქის საქმეების გამო; მისი წასვლა შეკავშირებულია ქალაქის თვითმართველობის მიერ აღძრულ შუამდგომლობასთან ქუთაისზე შავი ზღვის რკინის გაყვანის შესახებ. ბ-ნი ჩიქოვანი ინახულებს ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორს ვატაცის.

◆ ტფილისის საკონტროლო პალატის მოწერილობის გამო **ქუთაისის გუბერნატორმა** წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას—თითო თვის **ჯამაგირი დაუჭირო** ქალაქის თვითმართველობის იმ მოსამსახურეთ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურის უფლებით სარგებლობენ, ე. ი. ქალაქის მოურავს, გამგეობის წევრებსა და ქალაქის მდივანს, და დაუყოვნებლივ წარუდგინონ ეს ფული ხაზინაში. თითო თვის ჯამაგირი უნდა გადაიხადონ აგრეთვე ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებ ნამყოფთ, რომელთაც ეს ვალი არ გადაუხდიათ. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ სამი თვის განმავლობაში დაუჭირონ თითო თვის ჯამაგირი იმ პირთ, რომელნიც ამჟამად მსახურებენ ქალაქის თვითმართველობაში; რაც შეეხება ნამყოფ მოსამსახურეთ, მათ წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ შეიტანონ ხაზინაში ხსენებული გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის გამგეობა იძულებული გახდება თვითონ შეიტანოს ეს გადასახადი და შემდეგ სასამართლოს წესით მოითხოვს მათგან შეტანილ ფულის დაბრუნება.

◆ ქალაქის გამგეობა დიდ ცდაშია, რომ **საჯარო წიგნთ-საცავ სამკითხველოს მდგომარეობა** გააუმჯობესოს. ამ მიზნით, გარდა იმისა, რომ წიგნთ-საცავ სამკითხველო ახალს, მოხერხებულ ბინაზე გადააქვთ და შენობას ელექტრონით უპირებენ განათებას, 3000 მანეთის ახალ წიგნსაც იწერენ წიგნთ-საცავისთვის. მიუცილებელი საჭიროა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართული წიგნების განყოფილებას, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ, იმდენად ღარიბია, რომ ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებიც კი არ მოიპოვება.

◆ სატახტო გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ **ალ. არაბიძე**, რომელიც სხვა და სხვა წიგნაკების გამოცემისათვის კარგა ხანია პეტერბურგის ციხეში იჯდა, გაუთავისუფლებიათ. („კოლხ.")

◆ **ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოს სხდომა** დანიშნულია 8 ენკენისთვეს. საკრებულო გაარჩევს სოფ. შუქრუთის მცხოვრებ გლ. გაფრინდაშვილებისა და მემამულე დავით ბაქრაძის დავას თავდასხნის შესახებ, აგრეთვე გლ. თედორე და ნიკო ბაქსაშვილების და მემ. ამაშუკელის და ოზურგეთის მაზრის მცხოვრების კოსტანტინე და ყარამან კალანდარაშვილების დავას ერმილე ნაკაშიძესთან.

◆ **საკრედიტო კომიტეტის სხდომა.** დღეს, 19 აგვისტოს, შესდგება წვრილ კრედიტის საგუბერნიო კომიტ. სხდომა, უნდა სანიხილოს საკითხი ნაოღლევის, ოფშკვითის, სადმელის და შუხუთის საკრედიტო ამხანაგობების დაარსებისა.

◆ **ხეხილის სანერგე.** მიწადმოქმედების დეპარტამენტში აღძრულია კითხვა ქუთაისის გუბერნიისათვის განსაკუთრებულ ხეხილის სანერგის დაარსებისა. ამ მიზნით გამოიგზავნება სპეციალისტი აგრონომი.

◆ **ახალი საზოგადოება.** ტფილისში უკვე დაუმტკიცებიათ წესდება „პატრონატის საზოგადოებისა", რომელსაც მიზნად აქვს სატუსაღოდან გამოშვებულ პირებს გამოუნახოს სამუშაო. საზოგადოება მოქმედებას ენკენისთვიდან დაიწყებს. („მნათ.")

ბათუმი

◆ **ბათომის პოლიცმეისტერი** ქალაქის გამგეობას სთხოვს, აცნობოს, რამდენი მიგდებული ბავშვი უნახავთ ქალაქში ამ 20 წლის განმავლობაში.

◆ გუშინ წინ, 15 აგვისტოს, პუშკინის პროსპექტზე, წოწერიას სახლში **თავი ჩამოიხრჩო** ბათომის რკინის გზის დეპოში მომუშავე ქალმა ეკატერინე ხურცაშვილმა.

◆ 16 აგვისტოს, 4 საათზე, ჯუმათისა და ლანჩხუთს შუა რკინის გზის დარაჯს უპოვია ლიანდაგის მახლობლად **ჯამულეთ კილაძის გვამი**. მას თავი აქვს გატეხილი და ზურგი დაშავებული. („ბათ. გაზ").

სიღნაღი

◆ გიორგი აზატლიშვილის მკვლელი, **ილიკო მაძღარაშვილი**, საერობო დარაჯებმა შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

პროვინცია

◆ 20 აგვისტოს კნეინა სონა ნ. ბეგთაბეგოვის თაოსნობით გაიმართება **სალხინო საღამო**. გორის სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ორს ვოდევილს: „ცოლი ორი დღით" და „თილისმით მოარშიყე". შემდეგ-ცეკვა და ვახშამი იქნება, რისთვისაც მიწვეულია საზანდარი და საუკეთესო ადგილობრივი მომღერლები. გამგის დაუღალავი ენერგია და იშვიათი გამჭრიახობა საღამოს საუკე-

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიზანი

და მისი სამოქმედო გეგმა

(კომისიის მოხსენება)

საშუალო სასწავლებელს კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნება. უწინარეს ყოვლისა საამისოდ არ მოგვეპოვება მასწავლებელთა საკმაო რიცხვი, რადგან არ გვყავს აგრონომები, რომელთაც იციოდნენ ჩვენი მეურნეობის პირობები; არც ხვნა-თესვის წესებია გამოკვლეული, რომელთა გადაცემაც შეიძლებოდა მოსწავლეთათვის. საშუალო სასწავლებლები მხოლოდ იქ მოიკიდებენ ფეხს, სადაც აგრონომიულმა მეცნიერებამ უკვე გამოიკვლია მეურნეობის ყველა წესები და მეთოდები და მოსწავლეთათვის მხოლოდ თეორეტიულად და პრაქტიკულად გაცნობა სჭირიათ. გარდა ამისა, საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში კურს დასრულებული ახალგაზრდა ყმაწვილები ვერ ხეირობენ ჩვენში: ჩვენში არ არის დიდი, მსხვილი მეურნეობა, სადაც შეიძლებოდეს მათი მოწვევა გამგე-მოურავებად ან და მოიჯარადრეებად. და კიდევაც რომ იყვნენ, მაინც საეჭვოა, ასეთმა სპეციალისტებმა სუსტი მომზადებით შესძლონ და მოუარონ ნაკისრებ მოვალეობას—მეურნეობის წესიერ ორგანიზაციას. ამავე დროს, საეჭვოა, რომ საშუალო სასწავლებლის კურს დასრულებული ყმაწვილები დაჯერდნენ თავიან პატარა მამულების მეურნეობას, რადგან მამული საკმაოდ ვერ დააჯილდოვებს მათს შრომას.

ამრიგად, დაგვრჩა დაბალი სასწავლებლები, და ამასთანავე პრაქტიკულის მიმართულებისა; დაბალი სასწავლებელი კი შეუძლიანთ შესაფერი სარგებლობის მოტანა. ამ სკოლებში მოსწავლენი პრაქტიკულად გაეცნობიან იმ წესებს და მეთოდებს, რომელიც უკვე გამორკვეულია, ძვირადაც არ დაგვიჯდება და გლეხის მეურნეობის საჭიროებს დააკმაყოფილებს: მასში მოსწავლე გლეხის ვაჟი სწავლის დამთავრებას ისევ მამულს დაუბრუნდება. ამგვარ სკოლების მოწყობას დაწვრილებით ჩვენ არ შევეხებით. ეს საქმე ჩვენ უნდა მივანდოთ საამისოდ არჩეულ კომისიას აღვნიშნავთ კი, რომ შეძლებისა და სახსრის დაგვარად, საჭიროა ყოველ რაიონში გაიმართოს რამდენიმე ამისთანა პრაქტიკული სკოლა მუშებისა, სადაც 15—20 წლის ახალგაზრდობა ისწავლის. ამ სკოლებთან გამართული უნდა იყოს მხოლოდ საცდელი მინდვრები, რომელნიც ცოტაოდენ მაინც გასწევენ საცდელ სადგურების მაგივრობას. მთავარი გამგებლობა და მეთვალყურეობა ამ სკოლებისა სარაიონო აგრონომებს უნდა დაეკისროს.

როგორ უნდა იყოს მოწყობილი პრაქტიკულად ხალხის აგრონომიული დახმარება? მთელი ტფილისის გუბერნია სასოფლო-სამეურნეო რაიონებად უნდა დაიყოს, სივრცით ერთის რომელიმე მაზრისა, მაგ., თელავის ტოლი. თვითეულს რაიონში ინიშნება გამოცდილი აგრონომი კარგის თეორეტიულის მომზადებისა, რომელმაც ამის გარდა კოოპერატიული საქმეც უნდა იცოდეს. აგრონომს ევალება თავის რაიონის მთელი სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის წესიერ ნიადაგზე დამკვიდრება. როგორც დასავლეთ ევროპის გამოცდილებამ გამოარკვია აგრონომის მიერ რომელიმე დარგის ამორჩევა და თავის მოქმედების ამ დარგით განსაზღვრა არ შეიძლება; აგრონომმა თავის რაიონში უნდა იზრუნოს სასოფლო-მეურნეობის ყველა არსებულ დარგების წარმატება-განვითარებაზე. აგრონომს თანაშემწეებად ეძლევა ასისტენტები ერთი ან ორი, რომელნიც აგრონომის ხელმძღვანელობის და გამგებლობის ქვეშ მუშაობენ. ასისტენტებთაგან გამოვლენ მომავალში საჭირო აგრონომები ახლად დაარსებული ორგანიზაციებისათვის.

სრული აგრონომიული ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაში ჩვეულებრივ საგანგებო ადგილობრივს ორგანოს — მეთვალყურე კომიტეტს ექვემდებარება, რომელიც 4—5 კაცისაგან შესდგება; ამ პირთ ირჩევს პროვინციალური საბჭო (ერობა). ჩვენში კომიტეტის წევრები უნდა მოიწვიოს თვით საზოგადოებამ. კომიტეტს, რომელსაც აგრონომიც წევრობს, (ხანდახან სათათბირო ხმის უფლებით) ევალება—აგრონომთან შეთანხმებით ლექცია საუბრის მოწყობა საცდელ და მაჩვენებელ მინდვრებისთვის ადგილების გამორჩევა, კონკურსებიო. კამოფენებისა და სხვათა მოწყობა.

კომიტეტი ინსტრუქციის მიხედვით მოქმედობს, რომელშიაც სავსებით უნდა იყოს გამორკვეული—მოვალეობა-უფლებანი კომიტეტის წევრთა, აგრონომისა და მის თანაშემწეთა, ცოდნის გავრცელების საშუალებანი, სამუშაოს მოწყობის წესრიგი და სხვა.

აგრონომიულ ორგანიზაციების ბიუჯეტი იცვლება რაიონის სივრცისა, მის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ხასიათისა და სხვათა მიხედვით; საშუალოდ ეს ხარჯი წლიურად ასეთია:

აგრონომის ჯამაგირი .	1500—1800 მ.
მის გზის ხარჯად ავანსად	400 „
ასისტენტის ჯამაგირი. .	800—1000 „
მის გზის ხარჯად ავანსად	200 „
მსახურს	300 „
საჩვენებელ და საცდელ მინდვრების და მანქანების ხარჯი . . .	1000 „
სხვა და სხვა ხარჯი (ფოსტა, კანცელარია და სხვა).	200 „
სულ	4400—4900 მ.

სახსრის უქონლობა, და უმთავრესად ის გარემოება, რომ საქმე ახალია და პრაქტიკულად, საკმაოდ მომზადებული ჩვენის პირობების მცოდნე აგრონომებიც არ მოგვეპოვება. ყველა ეს გვაიძულებს შევჩერდეთ ჯერ-ჯერობით ორს ორგანიზაციაზე: ერთი კახეთისათვის. და მეორე ქართლისათვის. შემდეგ გამოცდილება გამოარკვევს, რა და რა სასოფლო სამეურნეო რაიონებად უნდა დაიყოს გუბერნია და რამდენი ორგანიზაციის დაარსება დაგვჭირდება.

ამრიგად პირველი და უმთავრესი ღონისძიება ხვნა-თესვის გასაუმჯობესებლად უნდა იყოს ხალხისათვის აგრონომიული დახმარების მოწყობა, მოგზაურ მასწავლებელ—აგრონომების სახით. ამითი მოვალეობაა რასაკვირველია. მარტო ხვნა-თესვის გაუმჯობესებასადმი მიმართული ღონისძიებით არ განისაზღვრება.

რა უპირთ და როგორი ღონისძიება უნდა გამოვუძებნოთ ჩვენს

თესოდ მოწყობის იმედს გვაძლევს, რომლის შემოსავალიც ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდაა გადადებული.

ცნობანი გლდანის წვრილ-კრედიტისა, სამწუხაროდ, დღეს ვერ ჩავტიეთ. იგი ხვალ დაიბეჭდება.

ჟურნალისტის დღიური

41.

წვრილი კრედიტი.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, სულ რამდენი ამხანაგობაა დაარსებული წვრილი კრედიტისა ტფილისის გუბერნიაში. ტფილისის მაზრაში **ოთხი** ამხანაგობა ყოფილა, გორის მაზრაში—**ათი**, ბორჩალოს მაზრაში—**სამი**, თელავის მაზრაში—**ოთხი**, სიღნაღის მაზრაში—**ერთი**, დუშეთის მაზრაში—**ერთი**, ახალციხის მაზრაში—**ერთი**. სულ ტფილისის გუბერნიაში გახსნილა ოცდაორი ამხანაგობა; თხუთმეტამდე საზოგადოებას ალუძრავს შუამდგომლობა. ასე რომ, წვრილი კრედიტის ამხანაგობანი ფეხს იკიდებენ ჩვენში: ქონებრივად დაცემულ ჩვენი სოფლისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენში სოფლის გაჭირება იმდენად დიდია, რომ ასეთი პატარა თანხიანი ამხანაგობანი ყველას გაჭირვებას ვერ დააკმაყოფილებენ, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. თავი დავანებოთ იმას, რომ წვრილი კრედიტი ბევრს გაჭირვებულს დაიხსნის ჩარჩების ხელიდან. ამ პირდაპირ მნიშვნელობის გარდა, წვრილ კრედიტის ამხანაგობანი იმითაც არიან სასარგებლონი, რომ გლეხკაცობას თვით-მოქმედებას აჩვევენ, ინიციატივას აღვიძებენ და აძლიერებენ. ნაყოფიერი მუშაობა კი იქ არის, სადაც თვით-მოქმედება და ინიციატივაა. წვრილ კრედიტის ამხანაგობანი, სხვათა შორის, ერთგვარი სკოლაა თვით-მოქმედებისა, რომელიც საშუალებას მისცემს გლეხ-კაცობას საქმის წარმოებაში გაიწვრთნას და შეეჩვიოს იმ აზრს, რომ თავისი ბედი თვითონვე უნდა გამოსჭედოს.

მხოლოდ ის კი აუცილებელია, რომ წვრილი კრედიტის ამხანაგობანი წესიერად ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას. მრავალ წლების დუხჭირმა ცხოვრებამ ჩვენს გლეხ-კაცობას იმედი დაუკარგა, დაუხშო ნდობა. ბუნებრივად ოპტიმისტი და მოიმედე, იგი ცხოვრებამ უკიდურეს სკეპტიკად გადააქცია. ამისთანა პირობებში, თუ წვრილი კრედიტის ამხანაგობა წესიერად არ ემსახურა თავის პირდაპირ დანიშნულებას, გლეხ-კაცობას უნდობლობას გაუძლიერებ და შემდეგში შეუძლებლად გახდის რაიმე სასარგებლო საქმის დაწყებას.

დღევანდელ ცნობიდან გაიგებს მკითხველი, რომ, მაგალითად, გლდანში, ფული უმეტეს შემთხვევაში შეძლებულ მცხოვრებთათვის მიუციათ. ასეთმა ტენდენციამ შეიძლება სხვა სოფლებშიაც იჩინოს თავი, და მაშინ წვრილი კრედიტი სრულიად დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას. მე ერთხელ შემთხვევა მომეცა წვრილი კრედიტის თაობაზე მესაუბრა გლეხ-კაცებთან. ყველაზე ღარიბი გლეხ-კაცობა, ჩვეულებრივად, ყველაზე მეტს უნდობლობას მიცხადებდნენ. სამაგიეროდ, შეძლებულნი, უმეტეს შემთხვევაში მედუქნეები და ისეთი პირები, რომელნიც მევახშეობას მისდევენ, პირდაპირ მოურიდებლად მიცხადებდნენ, ძალიან კარგი საქმეა, ოთხიოდ-ხუთიოდ თუმანს ავიღებ და გავასესხებო. წვრილი კრედიტის საშუალებით მათ უნდოდათ თავისი საჩარჩო თანხა გაეძლიერებინათ. ამისთანა ელემენტი ყოველ სოფელში მოიპოვება. თუ წვრილ კრედიტის გამგეობანი ფრთხილად არ მოიქცნენ, მართლაც, მხოლოდ ჩარჩები ისარგებლებენ ამხანაგობის თანხით. ეს კი არსებითად ეწინააღმდეგება წვრილი კრედიტის დედა-აზრს...

შინაური.

უცხო მოგზაური ჩვენში

(წერილი ახალდაბიდან).

წელს, ჩვენსკენ ძალიან გახშირდა უცხოელების მოგზაურობა; დიდმარხვაში იყო და ლონდონის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი ბ-ნი პრასი გვეწვია, რომელმაც დიდ-ძალი ეთნოგრაფიული მასალები იშოვა.

განვლილ ივლისის პირველ რიცხვებში იყო და მგონია ანდრე მარტენი და გაბრიელ შაუთვე იყვნენ, რომელნიც 4 წელიწადია ფეხით მოგზაურობენ და გზად გაიარეს ჩვენში. ისინი სახეზე ვიცანი, რადგანაც „სახალხო გაზ."-ის ერთ-ერთ დამატებაში მენახა.

5 აგვისტოს გვესტუმრა კიდევ ერთი ბოლგარიელი, ემანუელი, რომელიც თურმე 6 წელიწადია ერთად-ერთი, ფეხით დაიარება და ჰსურს მთელ დედამიწას გარშემო მოუაროს, იმ მიზნით, რომ ნახოს სახელმწიფოები, გაიცნოს ხალხის ზნე, ხასიათი, ჩვეულებე და სხვა.

ემანუელი სოფიიდან წამოსულა ფეხით 1905 წ. აპრილის 16, ჯიბეში კაპეიკ-ნახევარი ჰქონია, დაუვლია ბალკანეთის ნახევარი კუნძული და მცირე აზია. 1909 წელს აფრიკაში მისულა, სადაც 16 აგვისტოს აბისინიის იმპერატორ'ს მენელიკ მე-2-ს ვარსკვლავის ორდენით დაუჯილდოვებია, რომელიც გულზე ჰქონდა გაკეთებული. დაუვლია არაბეთი, ქურთისტანი და სპარსეთი. რუსეთში შესვლამდის უცხო მგზავრს ემანუელს 61,912 ვერსი გაუვლია ფეხით.

ემანუელი ახალგაზრდა—თეთრ-წითელი, ლამაზი ყმაწვილი კაცია, დაახლოვებით 32 წლისა. ერთი არშინის სიგრძე თმა აქვს დაყენებული.

ვკითხე, მოგზაურობით კმაყოფილი ხართ მეთქი და რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე სხვა და სხვა ქვეყანა; მიპასუხა: ეგ საკითხი ჯერ ყველასთვის საიდუმლოდ დარჩება, სანამ მთელ დედა-მიწას არ შემოვივლი. შემდეგ თვითონ გამოვაქვეყნებ ყოველივეს დაწვრილებითაო. თავისი სადარბაზო ბარათი მომცა და მითხრა: ჯერ აქედან გაიგებთ ჩემის მგზავრობის ამბავს და შემდეგ, როგორც გითხარით, მთელ აწერილობიდანო. გამომემშვიდობა და გაუდგა გზას. ბარათზე მისი სახე იყო და ის ცნობები, რაც მოგახსენეთ ზემოდ. ემანუელი სამ დღეს დარჩა ჩვენში.

მეხხი კ. გვარამაძე

ახალი პიესა

წლეულსაც წილადა მხვდა ზაფხული მშვენიერ კახეთში გამეტარებინა. რაღა თქმა უნდა, რომ პირველი სტუმრობა ჩემს გულითად მეგობარს, ნიჭიერ მსახიობ დ. აწყურელს გავუწიე. და აი მის მშვენიერ ღვინოსთან და მის საამურ მახვილობასთან ერთად ერთგვარი სათეატრო სიხარულიც განვიცადე. იქ გავიცან ბ. სევდია, რომელსაც დაუწერია დიდათ შესამჩნევი პიესა ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან „სიბნელის მსხვერპლნი".

მართალი გითხრათ, ზოგიერთის არ იყოს, მეც ცოტა სკეპტიკი ვარ და ეგრე რიგად არ შევხარი ხოლმე ვენებურ, მწერალთა ნაწარმოებს. საუბედუროთ მეც მოშხამული ვარ და ძვირად ვიწამებ ხოლმე „ნაზარეთიდან" მოვლენილ სიკეთეს. მაგრამ ამ შემთხვევაში კი ბ. სევდიას ნაწარმოებს, ჩემის ფიქრით, განსხვავებული ადგილი უჭირავს.

უწინარეს ყოვლისა მე ის მომწონს, რომ სრულიად უპრეტენზიოდ არის პიესა დაწერილი. ავტორი არ გამოდგომია თეატრალურ სხვა და სხვა ფსიხოლოგიურ ხლართსა და სადრამო კვანძებს. საკვირველის უბრალოებით, ბუნებრივად არის გამოცემული სოფლის ცხოვრება და დიდის დაკვირვებით, საქმის ცოდნით არის განსახიერებული ყველა მოქმედი პირი პიესისა და თითოეული ფრაზაც კი, მათგან თქმული.

გამახსენდა ფინლანდიელი მწერლები...

პიესის თემა არ არის ახალი თვით ჩვენს ლიტერატურაშიაც. გამოყვანილია ერთის მხრით სოფლის მკითხავი და მისი გავლენა სოფელში, მეორე მხრით კი განათლებული ექიმი და მისი უნიადაგობა.

სოფლის მკითხავს კარგად იცნობს ჩვენი ლიტერატურა განსვენებულის დ. მაჩხანელის, მგონი მელანიასიც, დანიელ ჭონქაძისა და თვით ილიას ნაწერებიდანაც, მაგრამ ესე სავსებით და, თამამად ვიტყვი, ესე თითქო უბრალოდ, მაგრამ ნამდვილ მხატვრულად ჯერ არავინ შეჰხებია ამ ჩვენ სოფლის ჭირს.

მთელი პიესის ჩარხი მკითხავის გარშემო ტრიალებს და ავტორს არსით არ გაუხრია თავისი კალამი, რომ სადრამოდ და საეფექტოდ, ან შაბლონური ახალგაზრდათა სიყვარული ჩაერთო, ან სხვა რამ ამ გვარი. ერთის შეხედვით, მთელი პიესა თითქო ცალ-ცალკე სურათებიაო, მაგრამ კარგა რომ დააკვირდებით, მართლაც, რომ უშველებელი დრამაა ჩვენი ხალხის უვიცობისა და სიბნელისა.

შინაარსი მეტად მარტივია: მკითხავთან მოდიან სხვა და სხვა „დამაშვრალნი და ტვირთ მძიმენი" სოფლისა და, სხვათა შორის, ერთი ავადმყოფის მამაც. მკითხავი თავისებურადა სწამლობს ავადმყოფს. იმავე დროს ექიმიც მოჰყავთ ავადმყოფთან, მაგრამ მისგან გამოწერილ წამლებს ავადმყოფს არ აძლევენ და მაინც მკითხავს უჯერებენ. მკითხავიც ბოლოს ურჩევს პირისუფლებს, რომ მისი ავადმყოფი შვილი წმინდა გიორგიმ მოითხოვა და მის მონად გახადონ. ესეთი შეწირული „მონები" ეხლაც არსებობენ კახეთის ზოგიერთ ეკლესიებში და აი, როდესაც მკითხავი მონებთან ერთად მოდის, რომ ავადმყოფიც მონად ჩარიცხონ, მათი ახირებულის ჟღრხულისა და ლალად გალობის დროს ანთებიან ყმაწვილს თავისი ემართება და კვდება.

ეს არის სულ მთელი ოთხ მოქმედების ძვალი. მაგრამ ამ ჩონჩხს ისეთი მოძრავი კუნთები, ისეთი მცოცხლები ხორცი აქვს ასხმული, რომ მთელი პრიმიტიული ცხოვრება ჩვენის სოფლისა თვალწინ გეხატებათ.

თუ ზეპირ-სიტყვაობასა და ზღაპარშაირებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის წარსულისა და აწმყო ვითარების გამოსარკვევად, ისე ესეთ პიესებსაც, თუ კი მაგგვარი რამე გვიჩნდება, დიდი განძი შეუძლიანთ შეიტანონ ჩვენი დრამატურგიის სალაროში. მით უფრო მაშინ, როდესაც ეს პიესები ისეთის საქმის სიყვარულით და ნიჭით იქმნება დაწერილი, როგორიც ბ. სევდიას ნაწარმოებია...

ჩვენი რეჟისორებისთვის ხომ ეს პიესა, რუსულად რომ ვთქვათ, დიდ, მადლიან მასალას წარმოადგენს. რადგან აქ სწორედ მთლიან სურათის შექმნაა საქმე, მწყობრის ჩამოყალიბება და ეთნოგრაფიულ წვრილმანთა ჩამოსხმა.

თვით პიესა უკვე ცენზურაშია. იმედია, რომ ჩვენი თეატრის ხელმძღვანელნი მომავალს სეზონში ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ მას.

მე კი პირადად დიდ მადლობას ვუცხადებ საყვარელ დათიკო აწყურელს, რასაკვირველია მის გულ-უხვ მასპინძლობისათვისაც და უფრო იმისთვის, რომ ეს პიესა გამაცნო და მომასმინა.

შალვა დადიანი.

ქართლის ვითარება.

ამ რამდენიმე წლის წინად, ხელმოკლე გლეხი რომ ქონებრივ გაჭირვებაში ჩავარდებოდა—მივიდოდა შეძლებულ გლეხთან და ფულს ესესხებოდა. შეძლებული თანხმობას აცხადებდა; იწერებოდა თამასუქი შესაფერის სარგებლით (მაგ. თუმანზე—10 ან 15 კაპ. თვეში) და გაჭირვებული კაცი ხელს იმართავდა, მცირე სარგებლის გადახდა არ ემძიმებოდა. ეხლა კი, სულ სხვაფერ დატრიალდა საქმე: გულით რომ უნდოდეს გლეხს—შეღავათიან (სარგებლით) ვალს ვეღარ იშოვნის.

ოდნავ გავითვალისწინოთ დღევანდელი გლეხის ცხოვრება,—ამით ჩვენ გავეცნობით მიზეზს შეღავათიანის ვალის შოვნის გაძნელებისას და აგრეთვე სოფლად ფულის ვასესხების პირობებს.

ამას წინად ვწერდით, რომ გლეხის სამუშაო ასპარეზი და ერთად-ერთი შემოსავლის წყარო მიწაა, რომელიც იმდენ ნაყოფს ვერ იძლევა, რომ მშრომელი ამ ნაყოფის ნაფასურით აუვიდეს სხვა-და-სხვა აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. აუცილებელი მოთხოვნილება კი მრავალი აქვს გლეხს. მაგ. ნავთი, ასანთი, მარილი, საპონი, ტანისამოსი და სხვა, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მისთვის; აუცილებლივვე მისთვის გარდასახადები: სახელმწიფო, საბატონო, მამასახლისის ჯამაგირი, ნაცვლისა, გზირისა და სხვა... გამძღოლა უნდა, აგრეთვე ჭირსა და ლხინსა. ყველა ამისთვის საჭიროა ფული და უკანასკნელი კი საიდან ექნება გლეხს, როდესაც მის ჭირნახულის ორმოს, თითქმის წლის შუაგულამდევე ამოჩხადეს სული და ზურგ-ხავსიანი ბაყაყების საბუდრად გადააქციეს გარდასახადებმა და ჩარჩთა შეუბრალებელ-გაუმაძღარმა ჩანახებმა...

ამგვარად: გლეხს უდრო-უდროოდ აკლდება ჭირნახული; აწმყო და მომავალი გადასახადები, აუცილებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შემზარავად ჰღრღნის მისს გულ-გონებას და იგი, ეკონომიურ ქარ-ცეცხლით გარემოცული, შინაგანად აფორიაქებულ-თავზარდაცემული დარბის და დაეძებს სასესხებელ ფულსა. ხოლო ასეთ მდგომარეობაში ჩვენი მტერიც ნუ ჩააგდოს ღმერთმა.. როდესაც გიჭირთ—ისევ გაჭირვებულ კაცს თუ შესტკივა თქვენთვის გული, რადგან მან იცის სიმწარე გაჭირვებისა; მაგრამ „ყვავს რა აქვს—კაჭკაჭს რა მისცეს" და ლატაკიც ვერ გეხმარება.ა. მდიდარი კაცი-კი: „ძნელად შევიდეს სასუფეველსა ღვთისასა",—მას რომ გაჭირვებულის დახმარება სწყუროდეს—რაღა გაამდიდრებდა?.- პირიქით, სწორეთ ეს მდიდარია, რომლის ულმობელს კლანჭებში ძალაუნებურად ვარდება ლატაკი გლეხი... აქ ეწამლება მას სიცოცხლე, მაგრამ რა ჰქნას, არ ისესხოს, არ იქნება; ისესხებს და იმ პირობით უნდა ისესხოს, როგორც ფულის პატრონსა ჰსურს, რადგან, ვალის მაძებარი ბევრია და ფულის პატრონიც იმას ასესხებს, ვინც მეტ სარგებელს მისცემს.

მრავალ გადასახადთა შორის, რომლებიც აიძულებს გლეხს ვალი აიღოს, დავასახელოთ ახლად მოვლინებული, უცნაურ დროის გადასახადი მიწაზე: წელს, ვინც „საბანკოში" ანეული ხნა, მაგ. სოფ. ბერშუეთში მას წინდაწინ გამოეცხადა, რომ ვიდრე მთელი გადასახადის (დესეტინაზე მთელი გადასახადი 15 მ.) „მესამედს" არ წარუდგენდა ბანკს—გუთანი არ შეეტანა მიწაში. დაძმარდნენ გლეხები, მაგრამ რას იზამდნენ? ყველგან მიწის სიძვირეა, უმიწოდ ვერ გასძლებენ და—გადაიხადეს მესამედი. ახლა საყურადღებო ის არის, თუ რა გზით იხდის გლეხი ვალსა (ამ შემთხვევაში „მესამედს"). მაგ. ილიკო გაბარცულიძემ დააპირა ორი „დესეტინა" მიწის მოხვნა საბანკოში: რომ არა აქვს—ბანკში მესამედი წინადღითვე წარადგინოს, მიდის სიკო ყვლეფიაშვილთან და ეხვეწება:

— სიკო, შენი ჭირიმე, ერთი თუმანი ფული მასესხე, გინდ აბაზს მოგცემ თვეში სარგებელს; ბანკში მინდა წარვადგინო, თორემ უხნავი ვრჩები, გამომაყოფინე თოკიდან თავი, გაჭირვებული ვარ.

— „არა ჩემო ილიკო,—უპასუხებს სიკო,—როგორც შენა ჰფიქრობ, ისე ვერ გავასესხებ ფულსა; აბა, სად შევცქირო შენს თითო აბაზს, თვეში თუმანზე მოცემულს?.. თუ გინდა პურს „დავიკვეთავ" შენგან, ან ტკბილსა, სხვაფერ ფულის გასესხება ხელს არ მაძლევს... სხვაც ბევრი იხვეწება, ფული იყოს თორემ"..

იცის ილიკომ, რომ ვისთანაც მივიდეს—დაუკვეთავად ვერ იშოვის ფულსა და ასეთ პირობას უწერს სიკოს: „მე ამისა ქვემორე ხელისა მომწერელმა ილიკო გაბარცულიძემ, მოგყიდე შენ, სიკო ყვლეფიაშვილს, ხუთი კოდი პური, რომლის ფასი შენგან დღეს სრულიად მიმიღია. მოვალე ვარ ჩავაბარო აღნიშნული ჭირნახული მომავალს კალოოზე. თუ ჭირნახული ვერ მოგიხერხე—20 მანეთი გარდავიხადო შენ, ყვლეფიაშვილის, სასარგებლოდ". ამ პირობას აწერს ხელს ილიკო, რომლის (პირობის) შედეგი ასეთია: სიკომ, მომავალ კალოობას, ერთ თუმანში (რომელიც ასესხა ილიკოს) ან ხუთი კოდი პური უნდა მოსტაცოს ილიკოს, „კანონიერად" (პირობის ძალით) ან 20 მ. უნდა გადაახდევინოს... ახლა წარმოიდგინეთ) რა ხნის განმავლობაში მოაქვს ერთ თუმანს სარგებლად ერთი თუმანი: სულ ოთხი-ხუთი კვირის განმავლობაში, როდესაც სწარმოებს ანეულის (ზაფხულის) ხვნა და ზედვე მოსდევს მკა-ლეწვა. ტკბილის დაკვეთის საქმეც ასეა: 5—6 მანეთიან ტკბილს (კოკას) 2—3 მანეთად, იკვეთავენ ყვლეფიაანნი... ოლონდაც დაკვეთა ხელსაყრელია მათთვის...

ჩვენ, გარდა იმისა რომ, როგორც წინადაც ვწერდით (იხ. სახ. გაზ. № 386 ამ წლისა), მიწაზედ ფულით გადასახადი შეუფერებლად მიგვაჩნია, —აუტანლად სამძიმოდ და სამწუხაროდ მიგვაჩნია გადასახადის (მთელის) „მესამედის" აღება მოხვნის წინ. ეს გარემოება აუცილებელ მიზეზად უხდება გლეხს ვალის აღებისათვის და, როგორც ზემო ნალაპარაკევიდან სჩანს, „უღვთო" სარგებელს იხდის ვალისას, აძლევს-რა ჩარჩს 2 მანეთად კოდ პურს, როდესაც მას შეეძლო კოდი 4 მანეთად გაეყიდნა კალოობას და ისე მოეშორებია ბანკის ვალი. არ ვიცი, ღმერთმანი: რა დაუშავდებოდა ამით ბანკსა და ან რა ემატება, რომ გლეხს აიძულებს ნახევარ-ფასად გადააყრევინოს ნაამაგდარევი, მძიმე შრომით მოხვეჭილი ჭირნახული!.. თუ, მაინცა-და-მაინც, „კომერციას" არ ეღალატება და ბანკს მიზნად აქვს წინდაწინ აღებული ფული (მესამედი) გადააბრუნოს და ფული მოაგებინოს —(არ ვიცი სწორედ: ემსახურება თუ არა საგლეხო ბანკი ამ გვარ კომმერციას?) მაშინ ბარემ მიწის გაცემისათანავე დაეკისრებინა გლეხისთვის მეტი გადასახადი და მთელი გადასახადი მიეღო გლეხისაგან—ოდეს უკანასკნელი ჭირნახულს გალეწავდა. ვფიქრობთ, სოფლის ჩარჩებზე ნაკლებ სარგებელს აიღებდენ ბანკელები..:

ყოველი გაჭირვების დროს (და გაჭირვება ხომ მუდმივი დაუპატიჟებელი სტუმარია გლეხისა) გლეხ-კაცობის უმრავლესობა, ცხოვრების იძულებით ჩავარდნილი „გაჩარჩებულის" უმცირესობის ხელში—მიმართავს ნივთიერად დამღუპველ-გამანადგურებელ „დაკვეთას". დაკვეთის წყალობით მომავალი წლის მოსავალი წარსული წლისაგან არის შთანთქმული; ამას ხელს უწყობს ცხოვრების პირობების უკუღმართობა და ამის გამოისობით გლეხი ყულში თოკწაჭერილი, ბზრიალ-ჯრიალით მიექანება სილატაკის უფსკრულში და ნატრობს: მალე მოეწიოს ჟამი მოსვენებისა—სიკვდილით...

სოფლის მეურნეობას სხვა დარგი?

მეორე მნიშვნელოვანი დარგი ხვნა-თესვის შემდეგ **მევენახეობა** ამხანად უკიდურესს გაჭირებას განიცდის, რომელიც უპირველესად იმაში გამოიხატება რომ ღვინოს შესაფერი გასავალი არა აქვს.

არ შეგვიძლიან აქ შევეხოთ ყველა იმ მიზეზს, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვხედავთ ამ მოვლენას ღვინის (ფალსიფიკაციის გავრცელება, მომხმარებელთა გემოვნების უქონლობა, რომ ნამდვილ ბუნებრივ ღვინოს მოწამლულ ღვინისაგან ვერ არჩევენ და სხვას). ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს ის მიზეზი, რომელთა თავიდან აცილება ჩვენს ხელშია. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს ღვინის დაყენება ჩამორჩენილ ტეხნიკას; მევენახეობის ტეხნიკა ჩვენში (მაგ. კახეთში) საკმაოდ განვითარებულია; უკვე კაი ხანია საუკეთესო ჯიშის ვაზი გააშენეს, თანდათან იკიდებს გადაბრუნებულ (პლანტაჟის) მიწაზე ვენახის გაშენება და მისი რიგზე ჩაყრა, ხოლო სხვა და სხვა წესები მევენახეობისა საჭიროებენ გაუმჯობესებას. იგივე ვერ ითქმის ღვინის დაყენების ტეხნიკაზე.

ჩვენებურად დაყენებული ღვინო უცხო ბაზარზე ვერ გავა. ამის გამო ადგილობრივი ბაზარი ჭარბად ივსება და ღვინის ფასიც ეცემა. აქედან ცხადია, თუ რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ აწ არსებულ კრიზისის თავიდან ასაცილებლად: უნდა გაუმჯობესდეს ღვინის დაყენების წესი; ისე უნდა დავაყენოთ ღვინო, რომ მის გასაღება უცხო ბაზარზედაც შეიძლებოდეს. გასაუმჯობესებლად კი საჭიროა ხარჯი: მანქანები, ხელსაწყო და უმთავრესად კი—შესაფერი ცოდნა. ამ პირობებში ცალკე პირთ უძლიათ გამარჯვება, აქ საჭიროა კოოპერატიული დაწესებულებათა დაარსება. და ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უნდა მოაწყოს **მევენახეთა წვრილი ამხანაგობანი**; ეს ამხანაგობანი საგანგებოდ მოწვეულ სპეციალისტების ხელმძღვანელობით საზიაროდ, საამხანაგოდ დააყენებენ თავიანთ ღვინოს, ხოლო ღვინის ღირსების გაუმჯობესებით მას ბაზარიც გაუჩნდება, გასავალი ექნება; ყველა ეს კი და კიდევ სპეციალისტის ხელმძღვანელობა გამოიწვევს თვით მევენახეობას წესების გაუმჯობესებას.

მაგრამ კახეთს ახალ სენი გაუჩნდა—ეს არის ფილოქსერა. ეჭვს გარეშეა, რომ რამე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რათა კარზე მოსულ გაჭირებას ხელცარიელნი არ დავუხვდეთ; ერთად ერთი საშუალება არის ადგილობრივ ვაზის ამერიკულზე მყნობა, რადგან ამერიკულ ვაზს ფილოქსერა ვერას აკლებს. მაშასადამე იბადება საჭიროება **ამერიკულ ვაზის სანერგეების გაშენებისა, პირველ ხანს** საცდელად, შემდეგ კი მუდმივად. მაგრამ ეს საქმე ძნელი და რთულია, ბევრს დროსა და სახსარს ითხოვს და საეჭვოა, რომ საზოგადოებამ პირველ ხანებშივე შესძლოს საჭიროების გაძღოლა. ეს საქმე მთავრობამ უნდა იკისროს, რომელიც ამხანად ზრუნავს საცდელ სანერგეების გამართვისთვის; რა მონაწილეობას მიიღებს საზოგადოება ამ საქმეში, ამას დრო და ხანი გამოარკვევს.

რაც შეეხება სხვა რაიონებს, სადაც ფილოქსერა უკვე კაი ხანია გაჩნდა (ქართლი და სხვა ადგილები), და უკვე შესაძლებელია ეხლავე ამერიკულ ვაზზედ ნამყენის გაშენება, აქ საზოგადოების მოვალეობაა დაეხმაროს კერძო პირთ და ამხანაგობათ საცდელ და სანერგეების გამართვაში და თუ შესძლო, თითონაც მოაწყოს.

ზემო-აღნიშნულით, რასაკვირველია, არ განისაზღვრება ჩვენი მევენახეობის საჭიროება. კახეთის გვერდა მევენახეობას სხვა ადგილებშიც მისდევენ, მაგრამ ამ ადგილებში საჭიროა წინასწარ ვარაუდისგაწევა, თუ რამდენად ხელს უწყობს ადგილობრივი ჰავა—ნიადაგი ვაზის გაშენებასა და იქის გამორკვევა, სხვა რამ მცენარის გაშენება უფრო სარფა ხომ არ არის; ამის გარდა, საჭიროა ვაზის ჯიშების გაუმჯობესობა, ღვინის ჭურის შემუშავება, მაშინების წესების გაუმჯობება და სხვა. ყველა ეს საზოგადოებას დაეკისრება.

ამ ბოლო დროს ჩვენში ვრცელდება **ხეხილის გაშენება** და ხილის გასაღება, მეტადრე ქართლში. მაგრამ სხვა რაიონებშიც არის შესაფერი პირობები მის გავრცელებისათვის და ცხადია, მალე მთელი გუბერნია მოეფინება წესიერად მოშენებულ ბაღებით, რადგან ხილის საჭიროება შიდა რუსეთშიაც, და ციმბირშიაც კი, დიდია. მაგრამ ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენს მეხილეთ არ შეუძლიანთ თავიანთ ნაწარმოებს რიგიან ფასად გასაღება. აიხსნება ეს უწინარეს ყოვლისა იმ გარემოებით, რომ ჩვენში სამრეწველო მეხილეობამ კი არ მოიკიდა ფეხი, არამედ მეხალისებურმა, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს მოდიდო, მსხვილი ბაზრის საჭიროებას, ვერ მიაწვდის მათ ერთნაირი ღირსების საქონლის დიდს რაოდენობას. აქედან ცხადია, თუ რა უნდა იზრუნოს საზოგადოებამ ჩვენში მეხილების გამოსაბრუნებლად: უნდა შემუშავდეს თვითეულ რაიონისათვის შესაფერი ჯიშის და ხარისხის ხეხილი, რისთვისაც საჭიროა გამართვა ჯერ ხეხილის საცდელ სანერგეებისა, მერე კი, როცა საკითხი გამოირკვევა, სადედე სანერგეებისა, რათა მეხილეთათვის შესაძლებელი იყოს შესაფერი ღირსების სანერგე მასალის შეძენა. საზოგადოებამ უნდა იკისროს, როგორც რამდენიმე ადგილას ამგვარ სანერგეების მოწყობა, ისე დახმარების გაწევა ყველა იმათთვის, ვისაც სურს წესიერად მოწყობილ სანერგის გაშენება.

მაგრამ ამის გარდა, და უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მეხილეთათვის დახმარება ხილის რიგიან ფასად გასაღებაში, რადგან ამ ხანად ხილს ფასი არა აქვს. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს ხილის გამსაღებელ კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსება-ხელმძღვანელობით; ამ ამხანაგობათ პირველ ხანად ხილი რიგიან ფასად რომ გაასაღონ, ესეც კარგი იქნება. როდესაც ამგვარი ამხანაგობანი დაარსდებიან, საზოგადოებას საცდელ და სადედე სანერგეების გაშენებაც გაუადვილდება.

უნდა შევეხოთ აგრეთვე ჩვენის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთს უმთავრეს დარგს—საქონლის მოშენებას.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა, ვერ შეჰრიგებია გრძნობა-გონება გლეხის დაჩაგვრას!.. რა გინდ „ქეციან ქუჩყიანი" იყვეს იგი, როგორც გამიგონია გლეხისა ზოგიერთ ნებიერთაგან, რა გინდ გულ-მიუსავალი იყვეს მისი ქალმის ჯღანები და აბრანძულ-აკონკილი ტანისამოსი,— მიწის მუშა პატიოსანია, რადგან ის თავისი ოფლით სჭამს ლუკმას და ჰკვებავს სხვასაც... ამრიგად მაღალ-ქუსლიანი-პრიალა წაღებზე ვიდგეთ, დიბა-ატლასის ტანისამოსი გვამშვენებდეს, მდიდარ სრა-სასახლეებში ვეწეოდეთ ნეტარს ცხოვრებას და „ცა ქუდად არ მიგვაჩნდეს—დედა-მიწა ქალამნად,"—მაინც ერთი რამ დაუვიწყარია, სახელდობრ ის, რომ: ჩვენ, ყველანი, ვცოცხლობთ ნაწარმოებით იმ „ქეციან-ქუჩყიანი" მიწის მუშისა, რომლის დანაოჭებულ შუბლ-მკერდიდან გადმოჩქეფარე ოფლის ნაკადი აპოხიერებს შავს მიწას და იქიდან აღმოაცენებს ჩვენს სასიცოცხლო ნაყოფსა...

დიაღ! მიწის მუშა ყველასაგან პატივ-საცემია და არა აბუჩად ასაგდები...

ბერშუელი.

ფინლანდიის საქმე

სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, სათათბიროს მომავალ სესიას წარუდგინოს ერთი პროექტი, რომლის ძალითაც ვიბორგის გუბერნიის ერთი ნაწილი პეტერბურგის გუბერნიას უნდა შეუერთდეს. ეს ნაწილი ორ სამრევლოსაგან შესდგება. ვიბორგის გუბერნია ფინლიანდიის ნაწილია და მის სეიმს ექვემდებარება.

სამინისტროს ამ გადაწყვეტილებამ ფინლიანდიელები ძლიერ დაალონა და აღელვა კიდეც. დიდი ხანია ეს საკითხი იყო, ფინლიანდიელები დიდი გულმოდგინებით ადევნებდნენ მის მსვლელობას თვალ-ყურს, მაგრამ სამინისტროს გადაწყვეტილება მათთვის მაინც მოულოდნელი გამოდგა. ფინური გაზეთები ერთხმად უკმაყოფილონი არიან ამ გადაწყვეტილებისა. ის ორი სამრევლო, რომელზედაც სამინისტროს პროექტშია ლაპარაკი, როგორც ვთქვით, ფინლიანდიის სეიმს ექვემდებარება, მაშასადამე მას ისეთივე უფლებანი აქვს, როგორიც მთელ ფინლიანდიას; ეს უფლებანი უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ ისე, როგორც მთელი ფინლიანდიის უფლებანი და ეხლა კი ამ ორ სამრევლოებს რუსეთის გუბერნიის უბრალო ნაწილად ხდიან. რა უფლებით სჩადიან ამასო? გაკვირვებული ჰკითხულობს ერთი ფინლიანდიური გაზეთი

სოციალისტური გაზეთები ხმა თავს აღარ იკავებენ. ამბობენ, ვიბორგში დიდი აღელვებაო. მისულა თუ არა სამინისტროს გადაწყვეტილების ამბავი, მაშინვე დაუბარებიათ ვიბორგის დეპუტატები და ყველა სამრევლოების წარმომადგენელნი. კრება ნაციონალურ კლუბში მომხდარა. კრებაზე გამოირკვა, რომ ყველა სამრევლოს მრევლი შეშფოთებული ყოფილა. კრებამ დაადგინა პროტესტი განეცხადოს სამინისტროს დადგენილებას, შეადგინეს კომიტეტი, რომელმაც ამ პროტესტის რედაქცია უნდა შეადგინოს. კომიტეტის თავმჯდომარე სვინხუდია. სვინხუდი უფრო რბილ ხასიათის პროტესტას მომხრეა. მისი რეზოლუციის ტექსტი გაზეთებშია დაბეჭდილი.

ამის გარდა, გაიმართა პარტიული კრებები, რომელზედაც გადასწყვიტეს გამოარკვიონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამინისტროს გადაწყვეტილებას. სოციალისტები პარტიათა საერთო კრებებში მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ თავიანთთვის, ცალკე კი აპირებენ მოქმედებას. („რ.")

სპარსეთის ამბები

კერძო ცნობა მაჰმედ-ალის შესახებ.

რაც ამბები სპარსეთიდან მოდის, იმას რომ ყური დაუგდოთ, მთელი სპარსეთის ამბები ერთ დიდ საშინელებად გვეჩვენება. ძნელი გასაგებია თუ რა ხდება იქ. ამას წინად სპარსეთიდან ერთი პირი დაბრუნებულა, რომელსაც სპარსეთის ამბები კარგად სცოდნია; აი რა უთქვამს ამ პირს გაზ. „რეჩის" კორესპონდენტისათვის:

— საკვირველია, რისთვის აზვიადებენ მაჰმედ-ალის მდგომარეობას ევროპიული გაზეთები, ძველი შაჰი იმ ყურადღების ღირსი არ არის, რომლითაც მას ეპყრობიან.

თეირანში მაჰმედ-ალის, ტახტის სურვილზედ მაძიებარსავით კი არ უცქერიან, არამედ როგორც ყაჩაღს, რომელიც აჯანყებულ გელურებს ჩაუდგა სათავეში. მაგრამ მაჰმედ-ალის მეთაურსაც ვერ დავარქმევთ, რადგანაც იმისთანა მშიშარა ადამიანი მეთაურად არ გამოდგება. მოიგონეთ, იგი ბესტში რომ ჩაჯდა, როცა რევოლიუციონერებმა თეირანი აიღეს. ირანის მბრძანებელს ეს არ ეკადრება, მით უმეტეს, რომ მის სიცოცხლეს მაშინ არავინ არ ემუქრებოდა. რევოლიუციონერებს უნდოდათ მაჰმედ-ალის სასახლიდან გაეძევებინათ ის პირ-ფერა და მლიქვნელთა ბრბო, რომელიც მეჯლისს მუშაობაში ხელს უშლიდა. რევოლიუციონერებმა აჰმედ-ალის მაშინ დეპუტაციაც კი გაუგზავნეს და თავიანთი ასეთი გადაწყვეტილება განაცხადეს, მაგრამ შაჰი მაინც შეშინდა და ბესტში ჩაჯდა. ამან იგი ხალხის თვალში სამუდამოდ დაამცირა.

ძველი შაჰის მხარეს ეხლა სულ რამდენიმე ასი უკმაყოფილო მოხელეა, რომელთაც ახალმა წესწყობილებამ ძველი დიდება წაართვა. ამის გარდა მაჰმედის მომხრედ გამოდიოდა გელურ თემის ერთი ნაწილი, რომელიც დაუსჯელად ყაჩაღობას სჩადიოდა. ის მოხელეები, რომლებიც ეხლა ძველ შაჰსა შველიან, ძველი წესწყობილების დროს ხალხსა ჰყვლეფავდნენ, ჯამაგირის გარდა საკვარეულოდ დიდ პენსიებს იღებდნენ და საქმეს და სამსახურს კი არას ეწეოდნენ. ამ მოხელეთ უკან უდგანან თურქმენები, გელურები და ყაჩაღები. ამ ბოლო დროს შაჰს შახსევანებიც მიემხრნენ. ეს თემი მაშინ გაჩნდა, როდესაც სპარსეთის ტახტზე ყაჯართა გვარეულობა დამკვიდრდა. ესენი კულტურით თურქმენებზე დაბლა დგანან. სიტყვა „შახსევანი"—შაჰისადმი სიყვარულსა ჰნიშნავს, ამ სიყვარულისათვის, შახსევანებს დიდი თავისუფლება ჰქონდათ. ყაჩაღობდნენ და ამისთვის მათ არავინა სჯიდა. ისინი მომთაბარე ხალხია. ყაჩაღობენ რუსეთის საზღვრებზე. მათი ცენტრი არდებილია. ბევრი ზარალი მიაყენეს შახსევანებმა რუსეთს. ახალმა მთავრობამ შახსევანებს დაგამის ხმალი მოუნდომა. 1910 წ. მან მათ მიდამოებში რაზმები გაგზავნა და ამ რაზმებმა ბევრი ყაჩაღი შახსევანი დაჰხვრიტა. მათი მეთაურები ეხლაც სხედან ციხეებში.

ასეთია მაჰმედ-ალის ძალა. რასაკვირველია ამისთანა „ჯარით" შაჰმა კიდეც რომ გაიმარჯვოს, ქვეყანას ვერც მოუვლის და ტახტზედაც დიდი ხანი ვერ დარჩება.

ეჭვი არ არის, რომ ძველი შაჰი და მისი მომხრენი რამდენსამე დღეს, ანუ კვირას კიდევ იომებენ და შემდეგ კი გაქცევით უშველიან თავს. ამის წინად თეირანში ამბავი მოვიდა, თურქმენების ერთმა ნაწილმა შაჰი მიატოვა და შინ დაბრუნდაო. ამისთანა ხმები შაჰს ბევრი მოვა. შახსევანებიც გაიქცევიან.

თეირანში სრული სიწყნარეა. მთავრობაც, მეჯლისიც და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანიც ძველებურად მუშაობენ, ისე, ვითომ არაფერიც არ მომხდარიყოს.

მართალია ახალ მთავრობას ბევრსა ჰკლანძავენ, მაგრამ მან მაინც ბევრი გააკეთა. რეფორმები, თუმცა ნელი ბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. მაჰმედ-ალის დროს სამინისტროები იყო, მაგრამ მინისტრები კი არა. თვით შაჰი ყველაფერიც იყო და არაფერიც. ეხლა კი, მიუხედავად იმისა, რომ ხელის შემშლელი ბევრი რამაა, ქვეყნის აღორძინება მაინც უზრუნველყოფილია. გავა ერთი ხუთიოდ წელიწადი და ყველა დაინახავს, რომ სპარსეთი კონსტიტუციურ წყობილების მეოხებით ევროპიულ კულტურის შეთვისებას მოახერხებს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აგვისტო.

საზღვარ-გარედ.

ტოკიო. ახალი კაბინეტი: პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი— მარკიზ საიონზი, შინაგან საქმეთა—ხარა, ფინანსთა—იამამოტო, სამხედრო, ბარონი ისიმოტო, საზღვაო—ვიცე-ადმირალი ბარონი საიტო, იუსტიციისა—მაცუდა, განათლებისა—ხასეგა, ვაჭრობისა და მიწათმოქმედებისა მაკინო, გზათა—გრაფი ხაიასი.

ურმია. ინგლის-რუსეთის სამოსაზღვრო კომისია ძნელ მგზავრობიდან დაბრუნდა.

ლისაბონი. ახალ კაბინეტის შედგენა კაგაშოს ჩაჰბარდა.

გრიუბსი. ქვანახშირის მუშები გაიფიცნენ. გემებს ნახშირი აღარა აქვთ.

პარიზი. სურათ „ჯოკონდას" დაკარგვისათვის სამინისტრომ დაადგინა სამსახურიდან დაითხოვოს ეროვნულ მუზეუმთა დირექტორი ომელი და მუზეუმის უფროსი ზედამხედველი.

მადრიდი. მინისტრთა საბჭოში მაროკოს შესახებ კანალეხასმა იმედი გამოსთქვა, რომ ესპანიის ინტერესებს დაინტერესებული სახელმწიფონი არ დაივიწყებენო.

თეირანი. კაბინეტის მიერ მეჯლისში შეტანილია ახალი პროექტი; თხოულობს, რომ მთავრობას სრული უფლება მიენიჭოს: ის პირნი, ვინც კი მთავრობის საქმეში ჩაერევიან, უნდა დასაჯონ, მთავრობას უნდა შეეძლოს, თუ კი საჭიროდ დაინახავს, დაჰკეტოს პროვინციის ენჯუმენები, იგი მოვალეა კანონებს გაუფრთხილდეს; წესიერების დასაცავად უნდა შეადგინოს გაწვრთნილი ჯარი, ჟანდარმერია შვედ ოფიცრებს უნდა დაექვემდებაროს. მთავრობა სასამართლოს აწარმოებს და გარეშე საქმეთა პოლიტიკის პროგრამას ადგენს.

რ უ ს ე თ ი.

მოსკოვი. ღამე, მოსკოვთან ახლოს, შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა ავტომობილით მომავალ ექიმს პოსტნიკოვს. ავტომობილი გადაატრიალეს, ექიმი ფეხში დასჭრეს და 2000 მან. წაართვეს.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა სამინისტროში დაიწყო კონფერენცია, რომელმაც რუსეთ-ჩინეთის 1881 წ. ხელ-შეკრულება უნდა განიხილოს.

ეკატერინოდარი. დააპატიმრეს მძარცველთა ბრბოდან 50 კაცი. ამ ბრბომ ყუბანში, უკანასკნელ წლებში 100 კაცი მოჰკლა და მრავალი ყაჩაღობა ჩაიდინა.

პეტერბურგი. დააპატიმრეს პირველი ნომერი „ტოლსტოის მუზეუმის საზოგადოების უწყებათა" ჟურნალისა. რედაქტორი ბონჩ ბრუევიჩი 128 მუხლის ძალით სამართალში იქმნა მიცემული,

პეტერბურგი. საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დირექტორი და ორდინარული პროფესორი პოსნიკი, მისი თხოვნისამებრ, სამსახურიდან დაითხოვეს.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით სოფ. ძევერის სახალხო სამკითხველოს დახმარებისათვის უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც ათ მანეთად ღირებული წიგნები შემოგვწირა, „განათლების" და „ნაკადულის" რედაქციას, თავიანთ ჟურნალების ფასდაკლებით დათმობისათვის, ძევერის ახალგაზდობას, რომელმაც სამკითხველოს სასარგებლოდ ორჯელ გამართა წარმოდგენა და წმინდა შემოსავალი—26 მან. 50 კაპ. გადმოგვცა, ქ-ნ ნინო ნაკაშიძეს, ბ.ბ. პ. ი. თუმანიშვილს და ივ. გ. ციციშვილს წიგნების შემოწირვისთვის და ბ. ბ. მ. ნ. გედევანიშვილს (5 მან.) და დ. ვ. ჯავახიშვილს (5 მან.) ფულით დახმარებისთვის.

სოფლის მონდობილობით:
სამკითხველოს გამგე
ჯარჩილ ჯავახიშვილი

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ შეძლება მოგვცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ბ. ბ. მელქისედეკ სიმონისძე დოლიძეს და ნიკიფორე სადრაძეს, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და შრომა და შორეულ აღმოსავლეთში თავიანთ მეგობრების შორის შეაგროვეს სამოცდა ათი მანეთი ჩემდამი რწმუნებულ ჩოხატაურის საქალებო სკოლის სასარგებლოდ. აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნით შემომწირველთაც: ერმილე დოლიძემ მელქისედეკ დოლიძემ, ნიკო ბერიძემ, მოსე ლომაძემ, ნიკიფორე სადრაძემ, ილარიონ მახალაძემ, იაკობ შენიტულმა, ვლადიკო შოიდანახელმა, შემოსწირეს ხუთ-ხუთი მანეთი. ბარნაბ მეძმარიაშვილმა, იაკინთე სადრაძემ, მელიტონ თოიძემ და ალ. სალუქვაძემ—სამ-სამი მანეთი, ფილიმონ ლომიძემ, ნესტორ ტილურიაძემ, ვლადიმერ ბოლავაძემ, იოსებ ნარაკიძემ, დავით გიორგიძემ, იოსებ ბაბუნიძემ, სილოვან როყუამ და გერმანე თათიბაძემ— ორ-ორი მანეთი. სტეფანე შავიშეულმა და ბარნაბ კოპალეიშვილმა—თითო მანეთი.

გამგე სკოლისა, მღვდელი
ბესარიონ დოლიძე.

ბატონო რედაქტორო! „სახალხო გაზეთი"-ს 380-ში მოთავსებულია ახალი ამბავი გორიდან, სადაც ნათქვამია, ვითომ სტუდენტს ი. კარგარეთელს მოხუც მიგრიაულისაგან ჩაეწეროს ჩემის დახმარებით მრავალი თქმულება...

გთხოვთ საჯაროდ აუწყოთ, რომ მე სტუდ. ი. კარგარეთლისათვის არავითარი ლექსების ჩაწერა არ დამივალებია, რადგანაც, რამდენადაც ვიცი, თვით სტ. ი. კარგარეთელი ხალხური ლექსთა-თქმულებებით დაინტერესებულია.

ი. კარგარეთელი.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. ვეევსკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარცაშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.

(წ. (1168—112)

მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი ს

კერძო პროგიმნაზიაში

მისაღები და განმეორებითი გამოცდა მოსწავლეთა 25 მარიამობისთვიდან დაიწყება 8½ საათზე.

(3—774—1)

მუხრანის [illegible]

სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელის 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურის ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.) თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელქონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50) 0—103—126)

გამოცდილი **მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით**: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**. ყველა კლასის ჩასაბარებლად. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში**. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

დროებითი ადრესი: Черкезовск. (бывшая Авчальская) ул. д. № 133; кв. 4. ეზოში მასწავლებელი, შესავალი უმთავრეს კარებიდან (Противъ вокзала, въ Нахаловкѣ). (თ—1084—8)

„სორაპანის" ქართველი მწერლები

— ამხ გამოცემანი —

ნაწილი I, ფასი 80 კ. (ყდით).

შედგენილი ივ. გომელაურის მიერ და ნაწ. II, ფასი 1 მ. 45 კ. (ყდით). [illegible] იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. წიგნის გამყიდველებს დაეთმობათ ჩვეულებრივ პროც. ამ სახელმძღვანელო წიგნების გამოწერა შეიძლება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიიდანაც, რომელზედაც მაღაზია დაუკლებს იმდენსავე %-ს, რამდენსაც თავის წიგნს უკლებს. ვისაც სურს წიგნის პირდაპირ გამოწერა, უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, типографiя «Сорапанъ». (10—1450—2)

ქ. შ. წ. კ. გ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა:	წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ... ფ. 75 კ.
„ „ „	წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . . ფ. 80 კ.
Bâton-ისა:	„ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა:	„სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა:	„მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4** თვისაა ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 ენკენისთვიდან. კურსებზე მეცადინეობენ ბუხჰალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, დამოკიდებული ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. კორესპონდენცია, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, კალიგრაფია, ხელის გასწორება. მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრაფია და რემინგტონი.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ საგანში ცალკე მომზადებულნი.

ა ტ ე ს ტ ა ტ ე ბ ი სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5-დან 7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, ტელეფონი № 744.

(2—1445—1)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

„კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.

საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. ცალი ნომერი ერთ შაურად.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ „კოლხიდა"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

გირ. [illegible] 25 კაპ.

მიიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე.

(წ—1068—)

სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.